ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ამხ. „ედემი”

საფუძველი: 12/13345609-16 11.12.2013წ.

მისამართი: დასახლება ვაშლივაკვარი, მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიმდებარედ.

საკ.კოდი: 01.10.11.001.002 №01.10.11.001.224

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №590618 15.03.2013 AR1113594

ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი IV კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (25.12.13) დადგინდა:

ფასადებზე შეცვლილია ზოგიერთი კარ-ფანჯრის ნახატი. ზოგიერთ მონაკვეთში არ არის დასრულებული სამღებრო სამუშაოები, და ზოგიერთ მონაკვეთში ღებვა არ ემთხვევა საპროექტოს. შემცირებულია ზოგი ფრამუგის გაბარიტი. ზოგიერთ აივანზე არ არის მოწყობილი ტიხრები.

ფასადი ა-კ ღერძებში: -3.30 ნიშნულზე თ-კ მონაკვეთში შეცვლილია ავტოფარეხის კარის ნახატი. ი-კ მონაკვეთში მიწის დონე არ ემთხვევა საპროექტოს და კედელი გადმოწეულია კ-კ ღერძზე. -0.60 ნიშნულზე კ-კ ღერძის გარეთ დამატებულია ჭიშკარი. გ-დ მონაკვეთში ღიობში დამატებულია ვერტიკალური ჟალუზი. დ-თ მონაკვეთში არ არის მოწყობილი სარეკლამოები. გ-ბ მონაკვეთში შენობის მთელ სიმაღლეზე გაზრდილია აივნის სიგანე 15 სმ-ით.

ფასადი 1-7 ღერძებში: -4.86 ნიშულზე 3-4 მონაკვეთში კიბეზე მოკლებულია ერთი საფეხური და არ არის მოწყობილი მოაჯირები. 7-7 ღერძთან დაბალი კედელი გადადგილებულია. -3.30 ნიშნულზე 2-5 მონაკვეთში შეცვლილია ორი ფრამუგის ნახატი. +30.150 ნიშნულზე 6-6 ღერძთან დამატებულია გამწოვი მილი.

ფასადი კ-ა ღერძებში: +0.00 ნიშნულზე ფანჯრები და ფრამუგები გაერთიანებულია. +6.40 ნიშნულზე თ-ზ მონაკვეთში დამატებულია სატელიტური ანტენა. +36.75 ნიშნულზე ი-თ მონაკვეთში აივნის ღიობი შემცირებულია.

შენობის შიგნით დიაფრაგმები გადაწეულია კოლონების კუთხეებთან. ზოგ კოლონას შორის მანძილი შეცვლილია 10 სმ-ით. 4-4 ღერძზე თ-ზ მონაკვეთში შემცირებულია კოლონის გაბარიტები. ე-ე და 6-6 ღერძების კვეთაზე კოლონა არ არის გადმოწეული კედლის სიბრტყიდან. +0.00 ნიშნულიზ ზემოთ ი-თ მონაკვეთში 6-6 ღერძზე გაზრდილია დიაფრაგმის გაბარიტი სიგრძეში. +36.75 ნიშნულზე ლითონის მილკვადრატები და დუტავრები არ არის ასახული პროექტში, ასევე რიგელები არ ფიქსირდება ჭრილის ნახაზზე. სახურავზე ზ-კ მონაკვეთში შეცვლილია გადახურვის ფორმა.

შენობის გარეთ ტერიტორიის მოპირკეთება ზოგ მონაკვეთში არ ემთხვევა საპროექტოს და არ არის დასრულებული. შენობის გარშემო ზოგიერთ მონაკვეთში არ არის მოწყობილი გარე კიბის საფეხურები.

არ არის დემონტირებული ამწე.

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ფართობი პროექტში ნაჩვენები 3687.0 მ^2-ის ნაცვლად რეგისტრირებულია 3663.23 მ^2. შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.11.001.002-ის ნაცვლად რეგისტრირებულია **01.10.11.001.224**

_____ ვ.ამისულაშვილი

_____ გ.გეგელაშვილი